ტრეინინგის და პროფესიული განვითარების ცენტრი

2022

euaa
EUROPEAN UNION
AGENCY FOR ASYLUM



# ტრეინინგის კატალოგი

## თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამა

ტექსტის მომზადების თარიღია 2022 წლის ოქტომბერი

არც ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA) და არც EUAA-ს სახელით მოქმედი სხვა პირი არ არის პასუხისმგებელი, თუ როგორ იქნება გამოყენებული ამ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია.

ლუქსემბურგი: ევროკავშირის საგამომცემლო სახლი, 2022 წელი

ბეჭდვის ISBN: 978-92-9400-643-1 doi: 10.2847/918255 BZ-08-22-294-EN-C

PDF ISBN: 978-92-9400-642-4 doi: 10.2847/150331 BZ-08-22-294-EN-N

© ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA), 2022 წელი

რეპროდუქცია ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ მითითებული იქნება წყარო. ნებისმიერი ფოტოს ან სხვა მასალის გამოყენებისთვის ან რეპროდუქციისთვის, რომელთა საავტორო უფლებაც არ ეკუთვნის EUAA-ს, ნებართვის მისაღებად უნდა მიმართოთ უშუალოდ საავტორო უფლებების მფლობელებს.

# ტრეინინგის კატალოგი

**EUAA**-ს ტრეინინგის და პროფესიული განვითარების ცენტრი

**2022** წლის ოქტომბერი

# წინასიტყვაობა

მოგესალმებით, გაგაცნობთ ჩვენს ტრეინინგის კატალოგს!

ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA) მხარს უჭერს წევრ ქვეყნებს იურიდიული, ტექნიკური, საკონსულტაციო და ოპერაციული დახმარების მიწოდებით, რათა ნებისმიერი პირისთვის, რომელიც ითხოვს საერთაშორისო დაცვას, უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი და თანასწორი მოპყრობა ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე. ეს დახმარება მრავალი სხვადასხვა ფორმით ხორციელდება, ხოლო თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამა მთავარ ხელმისაწვდომ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ეს პროფესიული სასწავლო პროგრამა შექმნილია სპეციალურად თავშესაფრის და მიმღები ცენტრის სპეციალისტებისთვის და სხვა ოფიციალური პირებისთვის, რომლებიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და ასოცირებულ ქვეყნებში მუშაობენ, რომელთაც ადგილზე შესაბამისი ინფრასტრუქტურა გააჩნიათ. სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის სტრატეგიის ჩარჩოს ფარგლებში, თავშესაფარის სფეროში ევროპული სასწავლო პროგრამა წარმოადგენს ინსტიტუციური განვითარების ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების თავშესაფრის და მიმღები ცენტრების ეროვნული ადმინისტრაციების მხარდაჭერას. მისი მიზანია მსმენელებს შეუქმნას ზოგადი წარმოდგენა ამ სფეროში ევროკავშირის და საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით და დაეხმაროს მათ ისეთი უნარების ჩამოყალიბებაში, რომელიც საჭიროა პროცედურების სწრაფად და სამართლიანად განხორციელებისთვის.

ამ სასწავლო პროგრამის ტრეინინგის მოდულები ასევე წარმოადგენს ოპერაციულ კონტექსტში ჩატარებული ტრეინინგების საფუძველს, რომლთა დანიშნულებაა ეროვნული ადმინისტრაციების მომზადება მათი ვალდებულებების შესასრულებლად თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის ფარგლებში ან მიგრაციული ნაკადების არაპროპორციული ზეწოლის ეფექტური მართვა. ზოგადი პროფესიული ტრეინინგის მეშვეობით, EUAA ცდილობს გაზარდოს თავშესაფრის და მიმღები ეროვნული ცენტრების მუშაობის თავსებადობა.

წინამდებარე ტრეინინგის კატალოგში, თქვენ ნახავთ ყველა ტრეინინგის მოდულის სრულ რეზიუმეს და რა ენებზეა ის ხელმისაწვდომი. იგი ასევე მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას თითოეული მოდულის შესახებ, როგორიცაა მსმენელების სამიზნე აუდიტორია, ხანგრძლივობა, სწავლის შედეგები, მიმოხილვა და მიზანი.



EUAA აწესებს ნებაყოფლობით შეფასებებს, რომელიც წარმოადგენს პირველ საფეხურს თავშესაფრის და მიღების სფეროში მომუშავე პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის კვალიფიკაციების მინიჭების პროცესში. შეფასებების წარმატებით გავლა იმის დემონსტრირებაა, რომ მსმენელმა მიაღწია სწავლის განსაზღვრულ მიზნებს და ეს აძლევს მის დამსაქმებელს რწმენას, რომ მისი ოფიციალური წარმომადგენლები ფლობენ სათანადო ცოდნას და უნარებს, რაც დაეხმარება მათ მოემზადონ წევრ სახელმწიფოებში თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის დანერგვისთვის. შეფასების სტრატეგიის შესახებ ინფორმაციის ნახვა შეგიძლიათ იმ ტრეინინგის მოდულების გვერდებზე, რომელთათვისაც შეფასებები უკვე ხელმისაწვდომია.

გისურვებთ წარმატებებს სწავლის პროცესში!
რაშელ კორტისი
EUAA-ს ტრეინინგის და პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი (a.i.)

# შინაარსი


წინასიტყვაობა........................................................................................................................ 3

თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის შესავალი...................... 8

როგორ მოვითხოვოთ თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის ტრეინინგის მოდულების თარგმნა ....................................................................... 11

მაქვს თუ არა უფლება დავრეგისტრირდე თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის ტრეინინგის მოდულებზე?.......................................................... 12

ფუნდამენტური მოდულები......................................................................................................13

- შესავალი კურსი თავშესაფრისა და მიმღები ცენტრის პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის კომუნიკაციაში.......................................................................14
- შესავალი კურსი ეთიკისა და პროფესიულ სტანდარტებში........................................... 15
- შესავალი კურსი ევროკავშირში მოქმედი ფუნდამენტური უფლებებისა და საერთაშორისო დაცვის სამართლებრივ საფუძვლებში..........................................17
- მოწყვლადობის შესავალი კურსი................................................................................... 18

შესავალი მოდულები .............................................................................................................. 20

- თარგმნა თავშესაფრის კონტექსტში.............................................................................. 21
- შესავალი კურსი საერთაშორისო დაცვაში ..................................................................... 22
- პროფესიული კეთილდღეობა......................................................................................... 23
- მუშაობა თარჯიმნის დახმარებით.................................................................................. 24

ძირითადი მოდულები............................................................................................................. 26

- თავშესაფრის მომთხოვნ პირებთან გასაუბრების მეთოდი ..........................................27
- მტკიცებულებების შეფასება.......................................................................................... 29
- ლტოლვილის სტატუსის მინიჭება ...................................................................................31

ინსტრუქტორის კურსი ............................................................................................................33

- თავშესაფრის ძირითადი კურსი.......................................................................................34
- როგორ გავხდეთ EUAA-ს შემფასებელი.......................................................................... 36
- როგორ გავხდეთ EUAA-ს ინსტრუქტორი ....................................................................... 38
- ქოუჩინგის კურსის შესავალი.......................................................................................... 40

მაღალი დონის ძირითადი მოდულები ......................................................................................41

ლტოლვილის სტატუსის მინიჭება – მაღალი დონის კურსი...................................................... 42

ბავშვებთან გასაუბრება ......44
მოწყვლად პირებთან გასაუბრება ......45

მოდულები წარმოშობის ქვეყნის შესახებ ......47
ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ......48
სამედიცინო ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ......50

დუბლინის მოდულები......52
დუბლინის III რეგულაცია......53
პოტენციური დუბლინის შემთხვევების იდენტიფიცირება ......55

საერთაშორისო დაცვიდან გამორიცხვის მოდულები......57
გამორიცხვის დებულებების გამოყენება პირებზე, რომლებიც საერთაშორისო დაცვას არ იმსახურებენ ......58
დაცვის დასრულება......59
გამორიცხვის პოტენციური შემთხვევების იდენტიფიცირება ......60

მოდულები მენეჯერებისთვის ......61
მენეჯმენტი თავშესაფრის კონტექსტში......62
მენეჯმენტი მიღების კონტექსტში......63

მიღების მოდულები......64
მიღება ......65

მოწყვლადი პირების მიღება: მოწყვლადობის იდენტიფიცირება და პირველადი მხარდაჭერის უზრუნველყოფა (ბლოკი A)......67
მოწყვლადი პირების მიღება: საჭიროებების შეფასება და ინტერვენციების შემუშავება (ბლოკი B)......69
თარგმნა მიღების კონტექსტში......71

რეგისტრაციის მოდული......72
საერთაშორისო დაცვის მაძიებლების რეგისტრაცია ......73

განსახლების მოდული......74
განსახლება......75

მოწყვლადობის მოდულები......76
გენდერი, გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია......77
ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ......79

# თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის შესავალი

თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამა შედგება მოდულების ფართო სპექტრისგან, რაც სრულად მოიცავს საერთაშორისო დაცვის სფეროს. ამ სასწავლო პროგრამაში შედის:

- ძირითადი მოდულები, რომელიც იძლევა თავშესაფრის ოფიციალური წარმომადგენლებისთვის აუცილებელ ცოდნას;
- მოდულების ნაკრები მიმღები ცენტრების ოფიციალური წარმომადგენლებისთვის;
- საბაზისო და გაცნობითი მოდულები, რომელიც განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებიც იწყებენ მუშაობას საერთაშორისო დაცვის სფეროში ან სხვა სექტორში მომუშავე პირთათვის, რომელთაც რეგულარულად უწევთ თავშესაფართან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა, მაგალითად რეგისტრაციის ცენტრის წარმომადგენლებისთვის;
- მაღალი დონის ან სპეციალიზებული მოდულები, რომელიც საშუალებას აძლევს გამოცდილ ოფიციალურ წარმომადგენლებს მოახდინონ საკუთარი უნარების კონსოლიდაცია ან დასპეციალდნენ კომპეტენციის კონკრეტულ სფეროში, მაგალითად მოწყვლადობაზე;
- კურსები ინსტრუქტორებისთვის - ჩვენ ვიყენებთ ინსტრუქტორთა მომზადების მეთოდოლოგიას, რაც უნარების, ცოდნის და კომპეტენციის გაღრმავებაში ეხმარება იმ ინსტრუქტორებს, რომლებიც ამზადებენ ეროვნული ადმინისტრაციების პერსონალს, რაც მულტიპლიკაციის ეფექტს ქმნის.

ეს მოდულები შემუშავებულია თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის (CEAS) იურიდიული ინსტრუმენტის - 1951 წლის ლტოლვილების სტატუსთან დაკავშირებული კონვენციის (ლტოლვილთა კონვენციის) - და მისი ოქმის, ასევე სხვა შესაბამისი საერთაშორისო და ევროპული კანონების გათვალისწინებით. ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA) იყენებს თავშესაფრის სასწავლო ცენტრის და ოპერატიული მხარდაჭერის ცენტრის გამოცდილებას და მჭიდროდ თანამშრომლობს წევრი სახელმწიფოების და სხვა ქვეყნების ექსპერტებთან, რომელთაც გააჩნიათ დიდი ცოდნა და გამოცდილება კონკრეტულ სფეროებში. ტრეინინგის მოდულების განხილვას ახორციელებს EUAA-ს ექსპერტთა გუნდი, რომლის წევრებიც არიან ექსპერტები ევროსაბჭოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების

შემსწავლელი ევროპული საბჭოდან, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატიდან და ევროკომისიიდან.

EUAA-ს მიზანია, რომ მსმენელები და მათი ადმინისტრაციები მჭიდროდ იყვნენ ჩართულნი მის მიერ განხორციელებულ ყველა საქმიანობაში. ეს უზრუნველყოფს მის მიერ შემოთავაზებული ტრეინინგების ავთენტურობას და სამიზნე მსმენელების მიერ რეალურად განსახორციელებელ ყოველდღიურ დავალებებთან შესაბამისობას თავშესაფრის და მიღების კომპეტენციის ჩარჩოს გამოყენებით, რომელიც ცნობილია ევროპის სექტორული კვალიფიკაციების ჩარჩოს (ESQF) სახელწოდებით. განათლების სტანდარტების ცხრილი განსაზღვრავს, თუ რა უნდა იცოდნენ ან რისი გაკეთება უნდა შეეძლოთ თავშესაფრის და მიმღები ცენტრების წარმომადგენლებს ტრეინინგის კურსის დასრულების შემდეგ შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად. ეს სწავლის შედეგები შეესაბამება დავალებებს, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი პროფესიული სტანდარტებით. აღნიშნული ცხრილი ასევე გამოიყენება სწავლის დონის განსაზღვრისთვის ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (EQF)[1] დონეების შესაბამისად. ეს სწავლის შედეგებზე დაფუძნებული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ თითოეული ტრეინინგის მოდული ფოკუსირებული იყოს ცოდნაზე, უნარებზე და/ან პასუხისმგებლობაზე და წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების ავტონომიურად მუშაობის შესაძლებლობაზე[2] საკუთარი მოვალეობების პროდუქტიულად და ეფექტურად შესრულებისთვის.

ტრეინინგის მოდულების მსმენელთათვის მიწოდება სხვადასხვა საშუალებით ხდება. უმეტესობა მოწოდებულია შერეული სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენებით (ინსტრუქტორის მიერ პირისპირ ჩატარებული სესიების და ონლაინ და დამოუკიდებელი სწავლის კომბინაცია). ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ონლაინ კომპონენტისგან შედგება, რაც დამოუკიდებლად სწავლის საშუალებას იძლევა, ზოგი მოდული კი ტარდება ვებინარის სახით.

EUAA-ს რეგულაციის მე-8 (4) მუხლში აღნიშნულია, რომ სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ტრეინინგების მაღალი ხარისხით ჩატარება. სხვა სიტყვებით, EUAA-ს ტრეინინგი განსაზღვრავს საკვანძო პრინციპებს და საუკეთესო პრაქტიკას, რათა უზრუნველყოს ადმინისტრაციული მეთოდების, გადაწყვეტილებების და იურიდიული პრაქტიკის თავსებადობის ზრდა. შესაბამისად, EUAA ცდილობს სრულად დააკმაყოფილოს ხარისხის, ეფექტურობის და გამჭვირვალობის უმაღლესი სტანდარტების მოთხოვნები, როგორც ასახულია ტრეინინგების და სწავლების სტრატეგიაში, რისი განხორციელებაც ხდება ტრეინინგის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს მეშვეობით. ეს ჩარჩო უზრუნველყოფს EUAA-ს ტრეინინგის ღონისძიებების განათლების და პროფესიული ტრეინინგების

[1] მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო (EQF) (Europass). აქასევე შეგიძლიათ იხილოთ სასარგებლო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეესაბამება თქვენი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო EQF-ს.

[2] ამ პუბლიკაციაში „ოფიციალური წარმომადგენლები" და „ოფიცრები" ურთიერთჩანაცვლებადი მნიშვნელობით გამოყენება.

სფეროში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებთან და გაიდლაინებთან შესაბამისობას. სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს წევრ სახელმწიფოებთან, რათა უზრუნველყოს ამ სტანდარტების შენარჩუნება ყველგან, სადაც ტარდება ეს ტრეინინგი.

ტრეინინგის მოდულები მომზადებულია ინგლისურ ენაზე და შესაძლებელია მათი სხვა ენებზე თარგმნა.

# როგორ მოვითხოვოთ თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის ტრეინინგის მოდულების თარგმნა

წელიწადში ორჯერ, ტრეინინგის და პროფესიული განვითარების ცენტრი აცხადებს ღია საგრანტო კონკურსს წევრი ქვეყნებისთვის, რომელთაც სურთ, რომ EUAA-მ დააფინანსოს ტრეინინგის მოდულების მათ ენაზე თარგმნა.

თარგმანზე მოთხოვნების შეფასება ხდება ადგილობრივი კომიტეტის მიერ, რომლის დროსაც გათვალისწინებულია სხვადასხვა კრიტერიუმები, როგორიცაა მოთხოვნილი მოდულის ვერსია, მონაწილეთა რაოდენობა თითოეულ მოდულში, რაც განისაზღვრება წევრი სახელმწიფოს თავშესაფრის უწყების ზომის შესაბამისად, თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის დანერგვის და გამოყენების ისტორიული მონაცემები და ბიუჯეტი. ტრეინინგის მოდულის თარგმნის დროს, ითარგმნება მისი ყველა კომპონენტი, ხოლო ვიდეოებს და ანიმაციებს (მათი შემთხვევაში) დაერთვის სუბტიტრები.

ტრეინინგის მოდულის ყველა კომპონენტის თარგმნას ესაჭიროება დაახლოებით 6 - 8 თვე, რაც დამოკიდებულია ტრეინინგის მოდულის ზომაზე, წინა ვერსიების თარგმანის ხელმისაწვდომობაზე, სამუშაოს მოცულობაზე, წლის პერიოდზე და სხვა რესურსებზე. თარგმნის შემდეგ, მოდულის ონლაინ ვერსიის მომზადებას დაახლოებით 8-დან 10 კვირამდე ესაჭიროება. სასწრაფო თარგმნის მოთხოვნების პირობების განხილვა ხდება ინდივიდუალურად.

# მაქვს თუ არა უფლება დავრეგისტრირდე თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის ტრეინინგის მოდულებზე?

თუ თქვენ ხართ თავშესაფრის ან მიმღები ცენტრის ოფიციალური წარმომადგენელი, რომელიც მუშაობს ეროვნულ უწყებაში, უნდა დაუკავშირდეთ თქვენს ქვეყანაში ტრეინინგებზე პასუხისმგებელ საკონტაქტო პირებს. ისინი შეგატყობინებენ დაგეგმილი ტრეინინგის შესახებ, რომელიც ორგანიზებულია EUAA-ს ან ეროვნული უწყების მიერ. თუ თქვენ არ ხართ თავშესაფრის ან მიმღები ცენტრის ოფიციალური წარმომადგენელი, რომელიც მუშაობს ეროვნულ უწყებაში, თქვენ შეიძლება მაინც მიიღოთ ტრეინინგზე დასწრების უფლება, თუ თქვენი საქმიანობა დაკავშირებულია იმ დავალებების შესრულებასთან, რომელიც რეგულირდება ამ პროფესიული სტანდარტებით.

მეტი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ EUAA-ს სწავლების მართვის სისტემის მთავარ გვერდს, ჩვენს ვებსაიტს, გაეცანით EUAA-ს ტრეინინგში მონაწილეობის წესებს ან მოგვწერეთ ელ. ფოსტაზე training@euaa.europa.eu.

EUAA-ს მიერ ორგანიზებული ტრეინინგის შესახებ მეტი დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ ტრეინინგის გეგმები. ეროვნულ დონეზე ორგანიზებული ტრეინინგის გეგმების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, დაუკავშირდით თქვენს ქვეყანაში ტრეინინგებზე პასუხისმგებელ საკონტაქტო პირს.



# ფუნდამენტური მოდულები



# შესავალი კურსი თავშესაფრისა და მიმღები ცენტრის პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის კომუნიკაციაში

ამ მოდულის მიზანია თავშესაფრისა და მიმღები ცენტრის პრაქტიკოსი სპეციალისტების ადამიანებთან ურთიერთობის უნარების განვითარება, ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.

ეს მოდული ფოკუსირებულია კომუნიკაციის თეორიის და კითხვების დასმის ძირითად პრინციპებზე, თავშესაფრისთვის დამახასიათებელ მრავალკულტურულ კონტექსტში. მასში ასევე განხილულია ადამიანებთან ურთიერთობის პრინციპები, არავერბალური კომუნიკაციის ეფექტები და ინფორმაციის მისაღებად საჭირო კითხვების დასმის ყველაზე ეფექტური მეთოდები. ამ მოდულში აღწერილია, თუ რა გავლენას ახდენს კულტურული მრავალფეროვნება კომუნიკაციის პროცესზე და განიხილავს მეთოდებს, რომელიც გვეხმარება არასწორი კომუნიკაციის რისკის შემცირებაში მულტიკულტურულ გარემოში.

**სწავლის შედეგები**

1. ეფექტური კომუნიკაციის მეთოდების განსაზღვრა თავშესაფრის კონტექსტში ინფორმაციის მიწოდებისა და მოპოვების მიზნით

2. საკომუნიკაციო ინტერვენციების განსაზღვრა, რომელიც შეესაბამება თავშესაფრის კონტექსტს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოთ კულტურათაშორისი განსხვავებებით გამოწვეული არასწორი კომუნიკაცია

ეს მოდული წარმოდგენილია ონლაინ ვერსიის სახით და იყენებს დროში შეუზღუდავ სწავლის რეჟიმს.

შეფასების სტრატეგია ეფუძნება ერთ შეფასებას მოდულის დასრულების შემდეგ. კითხვები მოცემულია რამდენიმე სავარაუდო პასუხთან ერთად და გამიზნულია ორივე სწავლის შედეგის ელემენტების შესაფასებლად.

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრისა და მიმღები ცენტრის პრაქტიკოსი სპეციალისტები**

ESQF დონე
**მე-5 დონე**

ხანგრძლივობა
**4,5-საათიანი ონლაინ სწავლება, 3-საათიანი დამოუკიდებელი მეცადინეობა (აუცილებელი საკითხავი მასალა) და 1-საათიანი შეფასების დავალებები**

ენები
**ინგლისური, პორტუგალიური, მალტური, ბერძნული და ესპანური**

ვერსია
**ვერსია 1 (2022)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**ჩარიცხვის მოთხოვნად განისაზღვრა EQF-ის მე-4 დონის ან ანალოგიური დონის კვალიფიკაცია**

# შესავალი კურსი ეთიკისა და პროფესიულ სტანდარტებში

ამ მოდულის მიზანია თავშესაფრისა და მიმღები ცენტრის ოფიციალური წარმომადგენლებისთვის კონფიდენციალურობის და ანგარიშვალდებულების პრინციპების, ასევე სამუშაო გარემოში პროფესიონალური და თავაზიანი ქცევის წესების გაცნობა.

ეს მოდული ფოკუსირებულია პროფესიონალური სტანდარტების ფუნდამენტურ პრინციპებზე, ეთიკის კოდექსზე და ფასეულობებზე თავშესაფრისა და მიღების კონტექსტში.

**სწავლის შედეგები**

1. ეთიკური და პროფესიული სტანდარტების განსაზღვრა, კონფიდენციალურობის ჩათვლით, თავშესაფრისა და მიღების კონტექსტში
2. კულტურული მრავალფეროვნებისა და სენსიტიური ასპექტების განსაზღვრა თავშესაფართან დაკავშირებულ პროფესიულ კონტექსტში
3. თავშესაფართან დაკავშირებული ეთიკური კოდექსისა და ფასეულობების უგულებელყოფის და მისი პოტენციური შედეგების განსაზღვრა
4. ქცევების იდენტიფიცირება, რომელიც ხელს უწყობს პროფესიონალურ და თავაზიან მუშაობას მულტიკულტურულ თავშესაფრისა და მიღების კონტექსტში

ეს მოდული წარმოდგენილია ონლაინ ვერსიის სახით და იყენებს დროში შეუზღუდავ სწავლის რეჟიმს.

ეს შეფასების სტრატეგია ეფუძნება თავშესაფრის და მიღების სფეროსთან დაკავშირებული შემთხვევების

| | |
|---|---|
| სამიზნე ჯგუფი | **თავშესაფრის და მიმღები ცენტრის ოფიციალური წარმომადგენლები** |
| ESQF დონე | **მე-5 დონე** |
| ხანგრძლივობა | **5-საათიანი ონლაინ სწავლება, 1-საათიანი დამოუკიდებელი მეცადინეობა (აუცილებელი საკითხავი მასალა) და 1-საათიანი შეფასების დავალებები** |
| ენები | **ინგლისური, პორტუგალიური, ბერძნული, სლოვაკური, მალტური და ესპანური** |
| ვერსია | **ვერსია 1 (2022)** |
| ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები | **ჩარიცხვის მოთხოვნად განისაზღვრა EQF-ის მე-4 დონის ან ანალოგიური დონის კვალიფიკაცია** |

| | |
|---|---|
| კვლევას, სადაც წარმოდგენილია ამ სამუშაო გარემოსთვის დამახასიათებელი ეთიკური და პროფესიული გამოწვევები. კითხვები მოცემულია რამდენიმე სავარაუდო პასუხთან ერთად და გამიზნულია ყველა სწავლის შედეგის ელემენტების შესაფასებლად. | |

# შესავალი კურსი ევროკავშირში მოქმედი ფუნდამენტური უფლებებისა და საერთაშორისო დაცვის სამართლებრივ საფუძვლებში

ამ მოდულის მიზანია თავშესაფრისა და მიმღები ცენტრის პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის საბაზისო ცოდნის მიცემა ევროკავშირში მოქმედ საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი ნორმების და ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნდამენტური უფლებების შესახებ თავშესაფრის პროცედურებთან წვდომის კონტექსტში, კერძოდ *არგაძევების პრინციპის*ა და თავშესაფრის მიღების უფლების შესახებ.

ეს მოდული ფოკუსირებულია ორ ძირითად ფუნდამენტურ უფლებაზე, რომელიც უკავშირდება თავშესაფრის პროცედურებთან წვდომას და CEAS-ის ხუთ ფუნდამენტურ პრინციპს. აქ ასევე წარმოდგენილია საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი პირების და ბენეფიციარების ძირითადი განსაზღვრებები და თავშესაფრის მიცემის პროცედურის მთავარი საფეხურები.

**სწავლის შედეგები**

1. ძირითადი ფუნდამენტური უფლებების განსაზღვრა, რომელიც დაკავშირებულია თავშესაფრის პროცედურებთან წვდომასთან
2. თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის სამართლებრივი ინსტრუმენტების ძირითადი მიზნების განსაზღვრა

ეს მოდული წარმოდგენილია ონლაინ ვერსიის სახით და იყენებს დროში შეუზღუდავ სწავლის რეჟიმს.

შეფასების სტრატეგია ეფუძნება ერთ შეფასებას მოდულის დასრულების შემდეგ. კითხვები მოცემულია რამდენიმე სავარაუდო პასუხთან ერთად და გამიზნულია ორივე სწავლის შედეგის ელემენტების შესაფასებლად.

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრისა და მიმღები ცენტრის პრაქტიკოსი სპეციალისტები**

ESQF დონე
**მე-5 დონე**

ხანგრძლივობა
**8-საათიანი ონლაინ სწავლება, 1-საათიანი დამოუკიდებელი მეცადინეობა (აუცილებელი საკითხავი მასალა) და 2-საათიანი შეფასების დავალებები**

ენები
**ინგლისური, პორტუგალიური, ბერძნული, მალტური და ესპანური**

ვერსია
**ვერსია 1 (2022)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**ჩარიცხვის მოთხოვნად განისაზღვრა EQF-ის მე-4 დონის ან ანალოგიური დონის კვალიფიკაცია**

# მოწყვლადობის შესავალი კურსი

ამ მოდულის მიზანია თავშესაფრისა და მიმღები ცენტრის პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის საჭირო ცოდნის და უნარების მიცემა, რაც საჭიროა საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი მოწყვლადი და სპეციალური საჭიროების მქონე პირების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიკაციისთვის.

ეს მოდული ფოკუსირებულია მოწყვლადობის კონცეფციაზე თავშესაფრის კონტექსტში და საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი პოტენციურად მოწყვლადი პირების ძირითად კატეგორიებზე ევროკავშირის სამართლებრივი ჩარჩოს შესაბამისად. აქ ასევე განხილულია საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი სპეციალური საჭიროების მქონე პირების გამოვლენის ყველაზე გავრცელებული ინდიკატორები და რა შედეგები შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება მათი იდენტიფიცირება.

**სწავლის შედეგები**

1. იმის განსაზღვრა, თუ როგორ გამოიყენება მოწყვლადობის კონცეფცია თავშესაფრის კონტექსტში
2. მოწყვლადობის კატეგორიებისა და ძირითადი ინდიკატორების განსაზღვრა თავშესაფრის კონტექსტში
3. პოტენციური სპეციალური საჭიროებების მქონე პირების იდენტიფიცირება თავშესაფრის კონტექსტში

ეს მოდული წარმოდგენილია ონლაინ ვერსიის სახით და იყენებს დროში შეუზღუდავ სწავლის რეჟიმს.

ეს შეფასების სტრატეგია ეფუძნება ორ შეფასებაზე. პირველი შეფასება არის ცოდნაზე დაფუძნებული და წარმოდგენილია რამდენიმე სავარაუდო პასუხის

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრისა და მიმღები ცენტრის პრაქტიკოსი სპეციალისტები**

ESQF დონე
**მე-5 დონე**

ხანგრძლივობა
**9-საათიანი ონლაინ სწავლება, 3-საათიანი დამოუკიდებელი მეცადინეობა (აუცილებელი საკითხავი მასალა) და 1-საათიანი შემაჯამებელი შეფასება**

ენები
**ინგლისური, ესპანური და მალტური**

ვერსია
**ვერსია 1 (2022)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**ჩარიცხვის მოთხოვნად განისაზღვრა *ევროკავშირში მოქმედი ფუნდამენტური უფლებების და საერთაშორისო დაცვის სამართლებრივ საფუძვლებში შესავალი კურსის***

| | |
|---|---|
| მქონე კითხვების სახით. მეორე შეფასება ეფუძნება სცენარს და წარმოდგენილია შემთხვევის ანალიზის სახით, სადაც მსმენელებმა უნდა ამოიცნონ შესაბამისი ინდიკატორები საკონტროლო სიიდან. | **წარმატებით დასრულება ან თავშესაფრის და მიმღებ ცენტრში მუშაობის 6-თვიანი გამოცდილება და EQF-ის მე-4 დონის ან ანალოგიური დონის კვალიფიკაცია** |

# შესავალი მოდულები



# თარგმნა თავშესაფრის კონტექსტში

ამ მოდულის მიზანია მსმენელებისთვის დაკისრებული მოვალეობების პროფესიონალურად, ეფექტურად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შესრულებისთვის საჭირო ცოდნის და უნარების მიცემა.

ამ მოდულში წარმოდგენილია თავშესაფრის კონტექსტის ზოგადი მიმოხილვა თარჯიმნის პერსპექტივიდან და თავშესაფრის პროცესში საჭირო თარგმნის ძირითადი მეთოდები.

**სწავლის შედეგები**

1. თავშესაფრის ზოგადი კონტექსტისა და პროცედურების აღწერა და განმარტება
2. თარჯიმნის როლის განმარტება ზოგადად, ხოლო კერძოდ, თავშესაფრის პროცედურაში
3. პრინციპებისა და აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოყენება თარგმნისთვის ზოგადი თვალსაზრისით და თავშესაფრის კონტექსტში

ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის კონტექსტში მომუშავე თარჯიმნები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**20-საათიანი ონლაინ სწავლება**

ენები
**ინგლისური, ფრანგული, ხორვატული, ჰოლანდიური, სლოვენიური, იტალიური, რუსული და გერმანული**

ვერსია
**ვერსია 1 (2018)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

# შესავალი კურსი საერთაშორისო დაცვაში

ამ მოდულის მიზანია თავშესაფრისა და მიმღები ცენტრის პრაქტიკოსი სპეციალისტების საერთაშორისო დაცვის სფეროს გაცნობა.

ამ მოდულში წარმოდგენილია საერთაშორისო დაცვის ზოგადი მიმოხილვა, თავშესაფართან დაკავშირებული მთავარი სამართლებრივი ინსტრუმენტები და ამ სფეროში გამოყენებული ძირითადი ტერმინოლოგია. აქ განმარტებულია თავშესაფრის მიღების უფლება, არგაძევების პრინციპი, საერთაშორისო დაცვის ცნება და თავშესაფრის პროცედურების ძირითადი საფეხურები.

**სწავლის შედეგები**

1. თავშესაფრის მიღების უფლებისა და არგაძევების პრინციპის მნიშვნელობის გაგება
2. ევროკავშირის კანონმდებლობით მიღებული საერთაშორისო დაცვის ცნების განმარტება
3. თავშესაფრის პროცედურების ძირითადი ეტაპებისა და ამ პროცედურაში თავშესაფრის ოფიციალური წარმომადგენლის როლის განმარტება
4. შესაფერისობის კრიტერიუმებისა და მტკიცებულების შეფასების შესახებ საბაზისო ცოდნის დემონსტრირება

ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრისა და მიმღები ცენტრის პრაქტიკოსი სპეციალისტები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**8- 10-საათიანი ონლაინ სწავლება და 1-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესია**

ენები
**ინგლისური, პოლონური, ბერძნული, გერმანული და ესპანური**

ვერსია
**ვერსია 1,1 (2016)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

# პროფესიული კეთილდღეობა

ამ მოდულის მიზანია მსმენელებს დაეხმაროს სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული ძირითადი პოტენციური ფსიქოლოგიური საფრთხეების ამოცნობაში და პროფესიული კეთილდღეობის უზრუნველყოფის სტრატეგიების განსაზღვრაში.

ეს მოდული ფოკუსირებულია თავშესაფრის და მიღების კონტექსტში პროფესიული კეთილდღეობის, საკუთარ თავზე ზრუნვის სტრატეგიების ფუნდამენტურ ელემენტებზე და პროფესიული კეთილდღეობის ყველაზე გავრცელებული საფრთხეების აღმოფხვრის ზომების დანერგვაზე.

### სწავლის შედეგები

1. პროფესიული კეთილდღეობის ძირითადი ელემენტებისა და იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სტრესი და გამოფიტვა
2. კეთილდღეობის დაბალი მაჩვენებლის ნიშნების დადგენა და კეთილდღეობის დაბალი მაჩვენებლის გავლენის განსაზღვრა თავშესაფართან დაკავშირებულ კონტექსტში
3. საკუთარი პროფესიული კეთილდღეობის დაცვის ძირითადი სტრატეგიების განსაზღვრა

ეს მოდული წარმოდგენილია ონლაინ ვერსიის სახით და იყენებს დროში შეუზღუდავ სწავლის რეჟიმს.

ეს შეფასების სტრატეგია ეფუძნება ონლაინ რეჟიმში შესრულებულ ორ წერილობით დავალებას მოდულის დასრულების შემდეგ. კითხვები მოცემულია სავარაუდო პასუხების გარეშე, ეფუძნება სცენარს და მათი მეშვეობით ხდება ყველა სწავლის შედეგის ელემენტების შეფასება.

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის და მიმღები ცენტრის ოფიციალური წარმომადგენლები**

ESQF დონე
**მე-5 დონე**

ხანგრძლივობა
**5-საათიანი ონლაინ სწავლება**

ენები
**ინგლისური**

ვერსია
**ვერსია 1 (2022)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**ჩარიცხვის მოთხოვნად განისაზღვრა EQF-ის მე-4 დონის ან ანალოგიური დონის კვალიფიკაცია**

# მუშაობა თარჯიმნის დახმარებით

ამ მოდულის მიზანია თავშესაფრის და მიმღები ცენტრის ოფიციალური წარმომადგენლებისთვის თარჯიმნის დახმარებით ეფექტური კომუნიკაციისთვის საჭირო ცოდნის და უნარების მიცემა. აქ ასევე წარმოდგენილია რეკომენდაციები და ღონისძიებები, რომელიც უნდა შესრულდეს თარჯიმნის მიერ ქცევის წესების პოტენციური დარღვევის შემთხვევაში.

ეს მოდული ფოკუსირებულია თარჯიმნის შერჩევის კრიტერიუმებზე, თარჯიმნის მეშვეობით კომუნიკაციისთვის საჭირო უნარებზე და თარჯიმნის მეშვეობით კომუნიკაციის დროს წარმოქმნილ პრობლემებთან გამკლავების მეთოდებზე. აქ ასევე განხილულია თარჯიმნის ქცევის კოდექსი და მოცემულია რჩევები თარჯიმნის მიერ ქცევის წესების პოტენციურ დარღვევაზე რეაგირებასთან დაკავშირებით.

**სწავლის შედეგები**

1. კომუნიკაციის საბაზისო უნარების გამოყენება თავშესაფრის კონტექსტში თარჯიმნის მეშვეობით ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად
2. შესაძლო რეაგირების ზომების იდენტიფიცირება თარჯიმნის მიერ ქცევის წესების პოტენციური დარღვევის შემთხვევაში

ეს მოდული წარმოდგენილია ონლაინ ვერსიის სახით და იყენებს დროში შეუზღუდავ სწავლის რეჟიმს.

შეფასების სტრატეგია ეფუძნება ერთ დავალებას, რომელიც შედგება სამი სცენარისგან. თითოეული სცენარი იყოფა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი ეხება უნარებს, რომელიც საჭიროა თარჯიმნის მეშვეობით კომუნიკაციისთვის, ხოლო მეორე ნაწილი ფოკუსირებულია შესაძლო რეაგირების

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის და მიმღები ცენტრის ოფიცრები, რომლებიც ადამიანებთან თარჯიმნის მეშვეობით ურთიერთობენ**

ESQF დონე
**მე-5 დონე**

ხანგრძლივობა
**4-საათიანი ონლაინ სწავლება, 4-საათიანი ვებინარი, 1-საათიანი დამოუკიდებელი მეცადინეობა (აუცილებელი საკითხავი მასალა) და 1-საათიანი შეფასების დავალებები**

ენები
**ინგლისური**

ვერსია
**ვერსია 1 (2022)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
***თავშესაფრისა და მიმღები ცენტრის პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის კომუნიკაციასა და ეთიკისა და პროფესიულ სტანდარტებში შესავალი კურსის წარმატებით***

| | |
|---|---|
| ზომებთან, რომელიც დაკავშირებულია თარჯიმნის მიერ ქცევის წესების პოტენციურ დარღვევასთან. | **დასრულება ან თავშესაფრის და მიმღებ ცენტრში მუშაობის 6-თვიანი გამოცდილება. ჩარიცხვის მოთხოვნად განისაზღვრა EQF-ის მე-4 დონის ან ანალოგიური დონის კვალიფიკაცია** |

# ძირითადი მოდულები



# თავშესაფრის მომთხოვნ პირებთან გასაუბრების მეთოდი

ამ მოდულის მიზანია თავშესაფრის ოფიციალური წარმომადგენლების მომზადება თავშესაფრის მომთხოვნ პირებთან გასაუბრებისთვის სრულყოფილი, სათანადო და სანდო ინფორმაციის მოსაპოვებლად, რაც საჭიროა განაცხადის შეფასებისთვის.

ეს მოდული ფოკუსირებულია თავშესაფრის მომთხოვნ პირებთან გასაუბრების მეთოდზე, რაც წარმოადგენს EUAA-ს მიერ შემოთავაზებულ გასაუბრების სტრუქტურირებულ პროტოკოლს, რომელიც ეფუძნება სხვა სფეროებში, მაგალითად ფსიქოლოგიაში, სამართალმცოდნეობასა და სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებულ გასაუბრების სტრუქტურირებულ პროტოკოლებს. ამ მოდულში აღწერილია ამ პროტოკოლების ადაპტირება თავშესაფრის მომთხოვნ პირებთან პირადად გასაუბრების და თავშესაფრის პროცედურების კონკრეტული მახასიათებლების გათვალისწინებით. ის ფოკუსირებულია EUAA-ს თავშესაფრის მომთხოვნ პირებთან გასაუბრების მეთოდის ხუთ ეტაპზე (მომზადება; შესავალი; თავისუფალი ნარატივი; ინფორმაციის მიღება; და დახურვა) და თუ როგორ ვმართოთ ფსიქოლოგიური, კულტურული და გარემოს ფაქტორები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს გასაუბრების პროცესზე. ამ მოდულში ასახულია კვალიფიკაციის დირექტივით განსაზღვრული მოთხოვნები და ფოკუსირებულია შემთხვევებზე, რომელიც არ საჭიროებს გასაუბრების კომპლექსური უნარების გამოყენებას.

**სწავლის შედეგები**

1. ფაქტორების ანალიზი, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს თავშესაფრის მომთხოვნ პირებთან გასაუბრებაზე, და ამ ფაქტორებთან გამკლავების სტრატეგიების განსაზღვრა

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის ოფიციალური წარმომადგენლები**

ESQF დონე
**მე-6 დონე**

ხანგრძლივობა
**20 - 30-საათიანი ონლაინ სწავლება, 2-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები, 7 - 8-საათიანი დამოუკიდებელი მეცადინეობა (აუცილებელი საკითხავი მასალა) და 3-საათიანი შეფასების დავალებები**

ენები
**ინგლისური და პორტუგალიური**

ვერსია
**ვერსია 1 (2021)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
*ლტოლვილის სტატუსის მინიჭების, თარჯიმნის დახმარებით მუშაობის და მოწყვლადობის* **მოდულების წარმატებით დასრულება ან შემთხვევაზე მომუშავე**

2. თავშესაფართან დაკავშირებული შემთხვევის ანალიზი თავშესაფრის მომთხოვნ პირებთან გასაუბრების დაგეგმვისა და მომზადებისთვის
3. გასაუბრების მეთოდების გამოყენება და ადაპტირება საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი პირისგან სათანადო ინფორმაციის მისაღებად

**ოფიცრის თანამდებობაზე მუშაობის მინიმუმ 9-თვიანი გამოცდილება. ჩარიცხვის მოთხოვნად განისაზღვრა EQF-ის მე-5 დონის ან ანალოგიური დონის კვალიფიკაცია**

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ, პირისპირ და დამოუკიდებელი მეცადინეობა). ონლაინ სწავლების დროს გამოიყენება სასწავლო ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას და ფიზიკურ პრაქტიკას.

შეფასების სტრატეგია ეფუძნება ორ შეფასებას მოდულის დასრულების შემდეგ. პირველი შეფასებით ხდება ცოდნის და უნარების ფართო სპექტრის შეფასება, რომელიც საჭიროა გასაუბრების ჩატარებისთვის, რაც მოიცავს ფსიქოლოგიურ, კულტურულ და გარემოსთან დაკავშირებულ ფაქტორებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს თავშესაფრის მომთხოვნ პირთან გასაუბრებაზე. მეორე შეფასებით მოწმდება თავშესაფრის მომთხოვნ პირთან გასაუბრების მეთოდის ხუთი ფაზის სიმულაციური პროცესი, რომელიც ეფუძნება შემთხვევის კვლევას, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სამუშაო დავალებებთან შესაბამისობა.

# მტკიცებულებების შეფასება

ამ მოდულის მიზანია ცოდნის, უნარების და თვისებების განსაზღვრა, რომელიც საჭიროა საერთაშორისო დაცვის განაცხადის შეფასების დროს EUAA-ს მტკიცებულების შეფასების სტრუქტურირებული მეთოდის გამოსაყენებლად, რათა შემცირდეს ინდივიდუალური შემთხვევების სუბიექტურად განხილვის რისკი.

ამ მოდულში განხილულია, თუ როგორ ხდება არსებითი ფაქტების დადგენა ხელმისაწვდომი მტკიცებულებების შეგროვების, გაანალიზების და შედარების გზით. აქ მოცემულია თეორიული ასპექტები და შესაბამისი კანონმდებლობა პრაქტიკული თვალთახედვიდან, ასევე განხილულია მტკიცებულების შეფასების მეთოდოლოგია, რაც დაფუძნებულია ინფორმაციის შეგროვების, სანდოობის შეფასების და რისკის შეფასების სამ სხვადასხვა საფეხურზე.

**სწავლის შედეგები**

1. არსებითი ფაქტების და მტკიცებულებების განსაზღვრა თავშესაფრის მოთხოვნის ფარგლებში EUAA-ს მტკიცებულების შეფასების სტრუქტურირებული მეთოდის შესაბამისად
2. სანდოობის შეფასება იმის დასადგენად, მიღებული უნდა იყოს თუ არა თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებული თითოეული არსებითი ფაქტი EUAA-ს მტკიცებულების შეფასების სტრუქტურირებული მეთოდის შესაბამისად
3. რისკის შეფასება თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით EUAA-ს მტკიცებულების შეფასების სტრუქტურირებული მეთოდის შესაბამისად

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ, პირისპირ

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის ოფიციალური წარმომადგენლები**

ESQF დონე
**მე-6 დონე**

ხანგრძლივობა
**21-საათიანი ონლაინ სწავლება, 2-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები, 10-საათიანი დამოუკიდებელი მეცადინეობა (აუცილებელი საკითხავი მასალა) და 8-საათიანი შეფასების დავალებები**

ენები
**ინგლისური, გერმანული, ხორვატული, სლოვაკური და პორტუგალიური**

ვერსია
**ვერსია 6 (2021)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
***ლტოლვილის სტატუსის მინიჭების და მოწყვლადობის შესავალი* მოდულების წარმატებით გავლა ან შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრის**

| | |
|---|---|
| და დამოუკიდებელი მეცადინეობა). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც უზრუნველყოფს მტკიცებულების შეფასების მეთოდოლოგიის საფუძვლიან განხილვას.<br><br>შეფასების სტრატეგია ეფუძნება ერთ შეფასებას მოდულის დასრულების შემდეგ. ის მოიცავს შემთხვევის სცენარს, როდესაც მსმენელმა უნდა შეაფასოს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული მტკიცებულება EUAA-ს მტკიცებულების შეფასების სტრუქტურირებული მეთოდის მიხედვით. | **თანამდებობაზე მუშაობის მინიმუმ 1-წლიანი გამოცდილება. ჩარიცხვის მოთხოვნად განისაზღვრა EQF-ის მე-5 დონის ან ანალოგიური დონის კვალიფიკაცია** |

# ლტოლვილის სტატუსის მინიჭება

ამ მოდულის მიზანია თავშესაფრის ოფიციალური წარმომადგენლებისთვის ცოდნის და უნარების მიცემა, რომელიც საჭიროა ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის და დამატებითი დაცვის კრიტერიუმების სტანდარტულ შემთხვევებში გამოსაყენებლად, რათა განისაზღვროს, ესაჭიროება თუ არა მომთხოვნ პირს საერთაშორისო დაცვა.

ეს მოდული ფოკუსირებულია კომპეტენციებზე, რომელიც საჭიროა თავშესაფრის ოფიციალური წარმომადგენლისთვის განსაზღვრული დავალებების შესასრულებლად ლტოლვილის სტატუსის ყველა რეკვიზიტის ანალიზის მეშვეობით და მათი გამოყენებისთვის 1951 წლის ლტოლვილთა კონვენციის და საკვალიფიკაციო დირექტივის, ასევე დამატებითი დაცვის სტატუსის შესახებ საკვალიფიკაციო დირექტივის შესაბამისად. ამ მოდულში ასახულია ევროკავშირის და საერთაშორისო პრეცედენტული სამართალი და ფოკუსირებულია შემთხვევებზე, რომელიც არ ეფუძნება ამ ორივე განსაზღვრების კომპლექსურ ინტერპრეტაციას.

**სწავლის შედეგები**

1. ლტოლვილის სტატუსის თითოეული რეკვიზიტის ანალიზი ლტოლვილთა კონვენციისა და საკვალიფიკაციო დირექტივის მიხედვით, სტანდარტულ შემთხვევებში
2. დამატებითი დაცვის თითოეული რეკვიზიტის ანალიზი საერთაშორისო სამართლისა და საკვალიფიკაციო დირექტივის მიხედვით, სტანდარტულ შემთხვევებში

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ, პირისპირ და დამოუკიდებელი მეცადინეობა). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს და ინტერაქტიულ კონტენტს, ასევე პირისპირ

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის ოფიციალური წარმომადგენლები**

ESQF დონე
**მე-6 დონე**

ხანგრძლივობა
**15-საათიანი ონლაინ სწავლება, 1,5-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები, 15-საათიანი დამოუკიდებელი მეცადინეობა (აუცილებელი საკითხავი მასალა) და 2-საათიანი შეფასების დავალებები**

ენები
**ინგლისური, პორტუგალიური და სლოვენიური**

ვერსია
**ვერსია 5 (2021)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
***ევროკავშირში მოქმედ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან და საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საფუძვლებში***

| | |
|---|---|
| ჩატარებულ სესიებს, რომელიც ფოკუსირებულია შეძენილი ცოდნის და უნარების გამოყენებაზე სხვადასხვა სასწავლო აქტივობების და შემთხვევების კვლევების დროს.<br><br>შეფასების სტრატეგია ეფუძნება ერთ შეფასებას მოდულის დასრულების შემდეგ. კითხვები და სცენარი გამიზნულია ორივე სწავლის შედეგის ელემენტების შესაფასებლად. | ***შესავალი მოდულის*** **წარმატებით გავლა ან შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრის თანამდებობაზე მინიმუმ 3-თვიანი მუშაობის გამოცდილება. ჩარიცხვის მოთხოვნად განისაზღვრა EQF-ის მე-5 დონის ან ანალოგიური დონის კვალიფიკაცია** |

# ინსტრუქტორის



# თავშესაფრის ძირითადი კურსი

ამ კურსის მიზანია EUAA-ს ძირითადი მოდულების ინსტრუქტორებს გააცნოს საუკეთესო პრაქტიკა, დამატებითი მეთოდები და დიდაქტიკური სტრატეგიები.

ეს კურსი ფოკუსირებულია ძირითად კომპლექსურ გამოწვევებზე, რომლებთან გამკლავებაც უწევთ მსმენელებს *ლტოლვილის სტატუსის მინიჭების, თავშესაფართან დაკავშირებული გასაუბრების მეთოდის* და *მტკიცებულების შეფასების* ძირითადი მოდულების დროს. ეს კურსი აღწერს პრინციპებს, რომელიც წარმოდგენილია *თავშესაფართან დაკავშირებულ ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებში* და ინსტრუქტორებს სთავაზობს პრაქტიკულ მაგალითებს და სტრატეგიებს კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად. ასევე, ეს კურსი EUAA-ს ძირითადი მოდულების ინსტრუქტორებს სთავაზობს შესაძლებლობას გაიარონ პრაქტიკული სწავლება, განიხილონ ყველაზე გავრცელებული სირთულეები და ერთმანეთს გაუზიარონ ამ გამოწვევების დაძლევის გზები.

**სწავლის შედეგები**

1. სტრატეგიების იდენტიფიცირება და გამოყენება ყველაზე გავრცელებული გამოწვევების გადასაჭრელად, რომლებსაც აწყდებიან EUAA-ის ძირითადი მოდულების მსმენელები
2. ინსტრუქტორის სპეციალიზაციის მოდულის, როგორც გადაწყვეტილების მიღების უფრო ფართო პროცესის განუყოფელი ნაწილის წარმოდგენა
3. ძირითადი მოდულის ინსტრუქტორის მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პრინციპებისა და აუცილებელი უნარების გამოყენება

სამიზნე ჯგუფი
**EUAA-ს ძირითადი მოდულების ინსტრუქტორები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**8-საათიანი ონლაინ სწავლება და 1,5-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური**

ვერსია
**ვერსია 1 (2022)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**ძირითადი მოდულების ინსტრუქტორად მუშაობა ან ყველა ძირითადი მოდულის შეფასების გავლა**

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

ამ მოდულის შეფასება არ ხდება.

# როგორ გავხდეთ EUAA-ს შემფასებელი

ამ მოდულის მიზანია მომავალი შემფასებლებისთვის სათანადო ცოდნის და უნარების მიცემა, რაც საჭიროა სამართლიანი და საფუძვლიანი შაფასებისთვის EUAA-ს ტრეინინგის კონტექსტში.

ეს მოდული ფოკუსირებულია შეფასების და შემოწმების სხვადასხვა ელემენტებზე. ის შედგება სასწავლო აქტივობებისა და სიმულაციური სცენარებისგან, რომელიც ასახავს შემფასებლის შესასრულებელ დავალებებს და წარმოადგენს სასწავლო პროცესის დამატებით კომპონენტს.

**სწავლის შედეგები**

1. სწავლების შედეგების შეფასებადა ქულების მინიჭება შეფასების კრიტერიუმების მიხედვით
2. მსმენელებისთვის მინიჭებული ქულების დასაბუთება სწავლის მიმდინარეობისას მიწოდებული უკუკავშირის მეშვეობით
3. შემფასებლის როლის განსაზღვრა შეფასებების ხარისხის უზრუნველყოფაში

ამ მოდულის მიწოდება ხდება ონლაინ რეჟიმში და წარმოადგენს ამ EUAA-ს სერტიფიცირებულ ინსტრუქტორად გახდომის პროგრამის სავალდებულო ნაწილს. ეს მოდული ასევე ხელმისაწვდომია 1,5-დღიანი პირისპირ ჩატარებული სემინარის სახით, რაც მოიცავს ერთსაათიან შემაჯამებელ შეფასებას.

შეფასების სტრატეგია იყოფა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი არის „ღია წიგნის“ მეთოდით ჩატარებული გამოცდა, სადაც მოცემულია კითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს პრაქტიკულ

სამიზნე ჯგუფი
**პირები, რომლებიც ჩართულნი არიან EUAA-ს სერტიფიცირებული ტრეინინგის მოდულების შეფასების და ქულების შემოწმების პროცესში**

ESQF დონე
**მე-6 დონე**

ხანგრძლივობა
**ონლაინ ვერსიისთვის: 7-საათიანი ონლაინ სწავლება, 30-წუთიანი დამოუკიდებელი მეცადინეობა (აუცილებელი საკითხავი მასალა) და 90-წუთიანი შეფასების დავალებები**

**პირისპირ ჩატარებული ვერსიისთვის: 1,5 დღე, 1-საათიანი შეფასების დავალებების ჩათვლით**

ენები
**ინგლისური**

ვერსია
**ვერსია 1 (2022)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
***„როგორ გავხდეთ EUAA-ს ინსტრუქტორი“*მოდულის დასრულება. ჩარიცხვის მოთხოვნად განისაზღვრა EQF-ის მე-5 დონის ან ანალოგიური დონის კვალიფიკაცია**

| | |
|---|---|
| შეფასებას. ორივე ნაწილის მეშვეობით ფასდება სამი სწავლის შედეგის ყველა ელემენტი.<br><br>როგორც წესი, ეს მოდული ტარდება BET-თან ერთად, რომლის სახელია: როგორ გავხდეთ EUAA-ს ინსტრუქტორი და შემფასებელი (BETA) | |

# როგორ გავხდეთ EUAA-ს ინსტრუქტორი

ამ მოდულის მიზანია მომავალი EUAA-ს ინსტრუქტორებისთვის მსმენელებზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენების, სწავლების მეთოდების ანალიზის და ტრეინინგის დროს ხშირად წარმოშობილი გამოწვევების მართვის მეთოდების სწავლება.

ეს მოდული ფოკუსირებულია ნარატიული თხრობის მეთოდზე, განშტოებების მქონე რეალურ სცენარზე და თამაშზე დაფუძნებულ ელემენტებზე (მაგ, ქულების მინიჭება, სწავლის წახალისება ბეჯებით), რომელიც მოცემულია ევროპული სასწავლო პროგრამის რამდენიმე მოდულში. მასში ასევე წარმოდგენილია შემთხვევის კვლევების და წარმატებული მეთოდების პრაქტიკული მაგალითები და რეალისტური სცენარები, სადაც აღწერილია EUAA-ს ინსტრუქტორების მიერ მათი მოვალეობის შესრულებისას დაფიქსირებული შემთხვევები.

**სწავლის შედეგები**

1. მსმენელზე ორიენტირებული მიდგომის აღწერა EUAA-ს ტრეინინგის კონტექსტში
2. ტრეინინგის მომზადება EUAA-ს ტრეინინგის კონტექსტში და მსმენელზე ორიენტირებული მიდგომის შესაბამისად
3. პროფესიული სწავლების ხელშეწყობისა და მოტივაციის მეთოდების აღწერა, სხვადასხვა სასწავლო გარემოში
4. გავრცელებული გამოწვევების მართვა სასწავლო პროცესის დროს
5. ინსტრუქტორის როლის და პასუხისმგებლობის განსაზღვრა ტრეინინგის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის მომავალი ინსტრუქტორები**

ESQF დონე
**მე-6 დონე**

ხანგრძლივობა
**8-საათიანი ონლაინ სწავლება, 1,5-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები და 1-საათიანი დამოუკიდებელი მეცადინეობა (აუცილებელი საკითხავი მასალა)**

ენები
**ინგლისური**

ვერსია
**ვერსია 1 (2022)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**ჩარიცხვის მოთხოვნად განისაზღვრა EQF-ის მე-5 დონის ან ანალოგიური დონის კვალიფიკაცია და ერთწლიანი პროფესიული გამოცდილება თავშესაფრის და/ან მიღების სფეროში**

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ, პირისპირ და დამოუკიდებელი მეცადინეობა). ონლაინ სწავლება იყენებს თამაშის სტილის სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

ამ მოდულის შეფასება არ ხდება და, როგორც წესი, ის ტარდება მოდულთან ერთად, რომლის სახელია „როგორ გავხდეთ EUAA-ს შემფასებელი“, ხოლო ერთად მათი სახელწოდებაა „როგორ გავხდეთ EUAA-ს ინსტრუქტორი და შემფასებელი (BETA)“.

# ქოუჩინგის კურსის შესავალი

ამ კურსის მიზანია ინსტრუქტორებისთვის და უფროსი ექსპერტებისთვის ინსტრუმენტების საბაზისო ნაკრების შეთავაზება, რომელიც მათ ინდივიდუალური და გუნდური სწავლებების დროს გამოსაყენებელი ქოუჩინგის ინიციატივების გაცნობაში დაეხმარება.

ეს კურსი ფოკუსირებულია ქოუჩინგის არსის გაცნობაზე და თუ რითი განსხვავდება ის ინტერვენციის სხვა მეთოდებისგან, როგორებიცაა ტრეინინგი და მენტორინგი. ამ კურსში ქოუჩინგი ასევე განხილულია, როგორც მიზნების დასახვის და მიღწევის მეთოდი. ის გვთავაზობს ქოუჩინგის შერჩეული საბაზისო მეთოდების და ინსტრუმენტების გამოსაყენებლად საჭირო ცოდნის და უნარების გაღრმავებას.

**სწავლის შედეგები**

1. ქოუჩინგის მიდგომის და მეთოდების დაგეგმვა და განხორციელება, რაც საჭიროა მიზანმიმართული, ქმედებაზე ორიენტირებული დასკვნების გამოტანისთვის
2. მეთოდების შერჩევითად გამოყენება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქოუჩინგის გრძელვადიანი პროცესის უწყვეტი განვითარება და გაუმჯობესება

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ კურსი მოიცავს სასწავლო აქტივობებს და ინტერაქტიულ კონტენტს ქოუჩინგის შესახებ, ასევე პირისპირ ჩატარებულ სესიებს, რომელიც ფოკუსირებულია შეძენილი ცოდნის და უნარების გამოყენებაზე სხვადასხვა სასწავლო აქტივობების დროს.

ამ მოდულის შეფასება არ ხდება.

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის ინსტრუქტორები და უფროსი ექსპერტები**

ESQF დონე
**მე-6 დონე**

ხანგრძლივობა
**10-საათიანი ონლაინ სწავლება და 3-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური**

ვერსია
**ვერსია 1 (2022)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**ჩარიცხვის მოთხოვნად განისაზღვრა EQF-ის მე-5 დონის ან ანალოგიური დონის კვალიფიკაცია**

# მაღალი დონის ძირითადი მოდულები



# ლტოლვილის სტატუსის მინიჭება – მაღალი დონის კურსი

ამ მოდულის მიზანია თავშესაფრის ოფიციალური წარმომადგენლებისთვის სტრუქტურირებული და დეტალური მითითებების მიწოდება კომპლექსურ ინტერპრეტაციულ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება საერთაშორისო დაცვისთვის კვალიფიკაციის განსაზღვრას.

ეს მოდული ფოკუსირებულია საერთაშორისო დაცვისთვის კვალიფიკაციის განსაზღვრის უფრო კომპლექსურ ასპექტებზე, რომელიც ეხება დევნის შემთხვევებს, დევნის მიზეზებს, სერიოზულ ზიანს (დამატებითი დაცვა) და დევნისგან და სერიოზული ზიანისგან დაცვას. მასში კრიტიკულადაა შეფასებული თავშესაფრის შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრების მუშაობა ეროვნული პრაქტიკის და თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემასთან (CEAS) დაკავშირებული იურისპრუდენციის კონტექსტში, სადაც გამოიყენება დასკვნები, რომელიც აღებულია მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს (CJEU) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეებიდან. ამ მოდულში ასევე განხილულია ევროკავშირისა და საერთაშორისო დაცვის სამართლის ინტერპრეტაციის მეთოდები CJEU-ის მითითებების არარსებობის პირობებში, როდესაც ვაწყდებით ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ კომპლექსურ პრობლემებს საერთაშორისო დაცვისთვის კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს.

**სწავლის შედეგები**

1. მუშაობის კრიტიკული შეფასება სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს პრაქტიკისა და CEAS-თან დაკავშირებული იურისპრუდენციის კონტექსტში
2. ევროპული იურისპრუდენციიდან, ძირითადად CJEU-ის პრეცედენტული სამართლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან მიღებული დასკვნების გამოყენება

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის ოფიციალური წარმომადგენლები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**30-საათიანი ონლაინ სწავლება და 2-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, რუსული და გერმანული**

ვერსია
**ვერსია 1 (2017)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

3. საერთაშორისო დაცვის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული თარგმანის საკითხების განხილვა CJEU-ს ევროკავშირის სამართლის ინტერპრეტაციის მეთოდის შესაბამისად, CJEU-ს პირდაპირი მითითებების არარსებობის შემთხვევაში

4. კომპლექსური და დეტალური მითითებების წარმოდგენა ინტერპრეტაციის კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად საერთაშორისო დაცვისთვის კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

2023 წელს, ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

# ბავშვებთან გასაუბრება

ამ მოდულის მიზანია თავშესაფრის შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრებისთვის საჭირო ცოდნის და უნარების მიცემა და მიდგომების გაცნობა, რომელიც საჭიროა ბავშვებთან პირადად გასაუბრების პროფესიონალურად და ეფექტურად ჩატარებისთვის.

ეს მოდული ფოკუსირებულია ბავშვების განვითარების ეტაპებზე, ბავშვებისთვის სამართლებრივი და პროცედურული გარანტიების უზრუნველყოფაზე საერთაშორისო დაცვის პროცესში და ბავშვებთან გასაუბრების სპეციფიკურ მეთოდებზე. ორიენტირებულია რა ბავშვთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვაზე, ამ მოდულში აღწერილია, თუ როგორ უნდა შეფასდეს ბავშვის განვითარების დონე გასაუბრებამდე და გასაუბრების დროს, რათა მოხდეს გასაუბრების პროცესის ადაპტაცია თითოეული ბავშვის განვითარების და სიტუაციის შესაბამისად.

**სწავლის შედეგები**

1. ეფექტური გასაუბრების ჩატარება ბავშვთან, საერთაშორისო დაცვის კონტექსტში, მისი ინტერესების მაქსიმალურად დაცვით
2. გასაუბრების პროცესის ადაპტირება თითოეული ბავშვის განვითარების და სიტუაციის შესაბამისად

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

2023 წელს, ამ მოდულს ჩაანაცვლებს ახალი მოდულები, სახელწოდებით *ბავშვები თავშესაფარში განთავსების პროცესში* და *ბავშვებთან დაკავშირებული შემთხვევების მართვა.*

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრები, რომლებიც ატარებენ გასაუბრებას ბავშვებთან, რომლებიც საერთაშორისო დაცვას ითხოვენ**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**25 - 30-საათიანი ონლაინ სწავლება და 2-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, სლოვაკური, პოლონური, არაბული, თურქული, სლოვენიური, რუსული და გერმანული**

ვერსია
**ვერსია 4 (2018)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

# მოწყვლად პირებთან გასაუბრება

ამ მოდულის მიზანია თავშესაფრის შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრების მომზადება, რათა მათ შეძლონ რაც შეიძლება მეტი სანდო ინფორმაციის მოპოვება მოწყვლად პირებთან გასაუბრების დროს, გასაუბრების პროფესიონალურად ჩატარება, სპეციალური საჭიროების მქონე პირების დაცვა და საქმის მომზადება პროცესის მომდევნო საფეხურებისთვის.

ეს მოდული ფოკუსირებულია სამართლებრივ ჩარჩოსა და მოწყვლადობის განსაზღვრებაზე საერთაშორისო დაცვის პროცედურის კონტექსტში. მასში განხილულია განმცხადებელთან დაკავშირებული ნორმები და თუ როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული ნორმატიული ბაზა მოწყვლადობის განმსაზღვრელი ყველაზე გავრცელებული გარემოებების გამოსავლენად და იმ ფაქტორების განსაზღვრისთვის, რომელიც აფერხებს საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი პირისგან ინფორმაციის მიღებას. ეს მოდული მოიცავს მოწყვლად პირებთან გასაუბრების რთული შემთხვევების კვლევას და აღწერს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ოფიცერი მსგავსი გასაუბრების დროს.

**სწავლის შედეგები**

1. გასაუბრების ჩატარება მოწყვლად პირთან იმ სამართლებრივი, პროცედურული და სოციალური კონტექსტების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს განმცხადებელზე
2. სპეციალური პროცედურული საჭიროებებისა და საერთაშორისო დაცვის მოთხოვნაზე მათი ზეგავლენის იდენტიფიცირება
3. შესაბამისი მიდგომის გამოყენება მოწყვლადი პირის ნდობის მოსაპოვებლად და მისგან ინფორმაციის მიღების გასაადვილებლად

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**25 - 30-საათიანი ონლაინ სწავლება და 2-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, გერმანული, სლოვაკური, თურქული, ბერძნული, პოლონური, არაბული, ესპანური, რუმინული, რუსული, მაკედონიური და პორტუგალიური**

ვერსია
**ვერსია 4 (2018)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

2023 წელს, ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

# მოდულები წარმოშობის ქვეყნის შესახებ



# ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ

ამ მოდულის მიზანია დაეხმაროს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის (COI) მკვლევრებს და თავშესაფრის საქმეებზე მომუშავე ოფიცრებს თავიანთი სამუშაო COI-ს ხარისხის სტანდარტების შესაბამისად შეასრულონ, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია წარმოშობის ქვეყნის შესახებ მაღალი ხარისხის ინფორმაციის მოსაპოვებლად.

ამ მოდულში აღწერილია წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის (COI) როლი საერთაშორისო დაცვის პროცედურებში. მასში წარმოდგენილია მიმოხილვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შემუშავდეს COI-ს კითხვები შემთხვევის შესაბამისად და როგორ უნდა მოხდეს წყაროების და ინფორმაციის შერჩევა, შეფასება და ვალიდაცია, აქ ასევე განხილულია COI-ს თემების კვლევისთვის საჭირო პრაქტიკული კვლევითი უნარები. ეს მოდული ასევე განიხილავს, თუ როგორ უნდა მოხდეს COI-ს კვლევის წარდგენა, COI-ს კითხვების მომზადება და COI-ს პროდუქტების საექსპერტო შეფასება.

**სწავლის შედეგები**

1. სათანადო, ზუსტი და დაბალანსებული ინფორმაციის მოძიება წარმოშობის ქვეყნების შესახებ, სანდო წყაროებიდან
2. ინფორმაციის წარდგენა გამჭვირვალე და მიკვლევადი ფორმით
3. COI-ს პროდუქტის საექსპერტო შეფასების განხორციელება

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები

სამიზნე ჯგუფი
**წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის (COI) მკვლევრები და თავშესაფრის შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**20-საათიანი ონლაინ სწავლება და 2-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური და გერმანული**

ვერსია
**ვერსია 5 (2019)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

| | |
|---|---|
| ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.<br><br>ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში. | |

# სამედიცინო ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ

ამ მოდულის მიზანია დაეხმაროს წარმოშობის ქვეყნის შესახებ სამედიცინო ინფორმაციის (MedCOI) მონაცემთა ბაზის მომხმარებელს საერთაშორისო დაცვის სფეროში ამ მონაცემთა ბაზის დანიშნულების და MedCOI-ს როლის გაგებაში. მაღალი დონის MedCOI-ს ტრეინინგის გავლამდე, მსმენელებმა უნდა დაასრულონ საბაზისო MedCOI-ს ტრეინინგი.

ეს მოდული ფოკუსირებულია წარმოშობის ქვეყნის შესახებ სამედიცინო ინფორმაციის (MedCOI) მონაცემთა ბაზაზე. ის შედგება ორი სხვადასხვა სასწავლო კურსისგან: საბაზისო მოდულისგან, რომელიც ფოკუსირებულია MedCOI-ს მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის მოძიებაზე და მოთხოვნის შესაბამისად მოძიებული ინფორმაციის ინტერპრეტაციაზე, და მაღალი დონის მოდულისგან, რომელიც ფოკუსირებულია შემთხვევაზე ორიენტირებული კითხვების მომზადებასა და MedCOI-ში მოთხოვნის გაგზავნაზე.

**სწავლის შედეგები**

1. სხვადასხვა პროცედურებში MedCOI-ის დანიშნულებისა და როლის აღწერა
2. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული სამართლებრივი სტანდარტებისა და სხვადასხვა პრაქტიკის აღწერა
3. ზოგად COI-სა და MedCOI-ს შორის განსხვავებების განმარტება
4. სანდო კითხვების ფორმულირება და MedCOI-ს მონაცემთა ბაზაში MedCOI-სთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და ინტერპრეტაცია
5. ინდივიდუალური მოთხოვნის გაგზავნა

სამიზნე ჯგუფი
**წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის (COI) მკვლევრები და წარმოშობის ქვეყნის შესახებ სამედიცინო ინფორმაციაზე (MedCOI) მომუშავე სხვა ოფიცრები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**10 - 12-საათიანი საბაზისო MedCOI-ს ონლაინ კურსი, 1,5-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები და 15-საათიანი მაღალი დონის MedCOI-ს ონლაინ კურსი**

ენები
**ინგლისური**

ვერსია
**ვერსია 2 (2022)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

# დუბლინის მოდულები



# დუბლინის III რეგულაცია

ამ მოდულის მიზანია დუბლინის განყოფილებაში მომუშავე ოფიციალური წარმომადგენლებისთვის უნარების და ცოდნის მიცემა, რაც საჭიროა დუბლინის III რეგულაციის განხორციელებისთვის თავშესაფართან დაკავშირებული ევროკავშირის *სამართლებრივი ნორმების* და ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების შესაბამისად.

ეს მოდული ფოკუსირებულია დუბლინის სისტემის ძირითად ფუნქციებსა და დანიშნულებაზე და მის წესებსა და პროცედურებზე. ის ეხმარება მსმენელებს გაეცნონ Eurodac-ს (ევროკავშირის თავშესაფრების დაქტილოსკოპიურ მონაცემთა ბაზას) და DubliNet-ის ელექტრონულ ქსელს.

### სწავლის შედეგები

1. პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს განსაზღვრა პასუხისმგებლობის კრიტერიუმებისა და პროცედურული წესების, ასევე დუბლინის რეგულაციასა და მის აღმასრულებელ რეგულაციაში მითითებული ინსტრუმენტების გამოყენებით
2. სიტუაციების ამოცნობა, როდესაც საჭიროა დუბლინის რეგულაციის მექანიკური გამოყენებისთვის თავის არიდების გათვალისწინება და სიტუაციიდან გამომდინარე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

სამიზნე ჯგუფი
**დუბლინის განყოფილებაში მომუშავე ოფიციალური წარმომადგენლები**

**ESQF** დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**20 - 25-საათიანი ონლაინ სწავლება და 2-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, რუმინული, გერმანული, ჩეხური, ფრანგული და სლოვენიური**

ვერსია
**ვერსია 2,1 (2016)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

| | |
|---|---|
| დაგეგმილია მომდევნო განახლება იმ შემთხვევაში, თუ ძალაში შევა თავშესაფრის და მიგრაციის მართვის რეგულაცია. | |

# პოტენციური დუბლინის შემთხვევების იდენტიფიცირება

ამ მოდულის მიზანია მონაწილეთათვის საჭირო ცოდნის და უნარების მიცემა, რაც დაეხმარება მათ საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი პირების იდენტიფიცირებაში, რომელთაც ეხებათ დუბლინის პროცედურა, და მათი საქმეების დუბლინის განყოფილებაში გადაგზავნაში.

ეს მოდული ფოკუსირებულია დუბლინის III რეგულაციის გაგებასა და თავშესაფრის უფრო ფართო პროცედურაში ჩართულ აქტორებზე, დუბლინის სისტემის ტექნიკური ასპექტების დეტალურად განხილვის გარეშე. ის ეხება ეროვნული უწყებების წარმომადგენლებს, რომლებიც ჩართულნი არიან დუბლინის პროცედურებში, სხვადასხვა პრაქტიკოსი სპეციალისტების პერსპექტივიდან, რომელთა შორის არან რეგისტრაციის ოფიცრები, შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრები, მიმღები ცენტრის ოფიცრები და თავშესაფრის ოფიციალური წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ ინფორმაციის მიწოდებაში (მაგ., გადმოსხმის პუნქტებში), ასევე ადგილობრივი უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც შეიძლება მუშაობდნენ საერთაშორისო დაცვის მომთხოვნ პირებთან.

### სწავლის შედეგები

1. დუბლინის III რეგულაციის, Eurodac-ის რეგულაციის შესაბამისი დებულებების და ვიზის საინფორმაციო სისტემის რეგულაციის მიერ განსაზღვრული დუბლინის პროცედურის პასუხისმგებლობის კრიტერიუმების და ძირითადი საფეხურების აღწერა

2. ინდიკატორების იდენტიფიცირება პასუხისმგებლობის კრიტერიუმების საფუძველზე დუბლინის III რეგულაციის თანახმად

3. მტკიცებულებების შეგროვებისთვის და ინფორმაციის მიწოდებისთვის საჭირო

სამიზნე ჯგუფი
**რეგისტრაციის ოფიცრები, შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრები და მიმღები ცენტრის ოფიცრები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**10 - 15-საათიანი ონლაინ სწავლება და 1-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, იტალიური, ესპანური და რუმინული**

ვერსია
**ვერსია 1 (2020)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

კომუნიკაციის მეთოდების გამოყენება დუბლინის III რეგულაციის მიხედვით, EUAA-ს გაიდლაინების შესაბამისად

4. იმის განსაზღვრა, უნდა გადაეცეს თუ არა საქმე დუბლინის განყოფილებას და, და ასეთ შემთხვევაში, რა სახის ინფორმაცია უნდა ერთვოდეს თან გადასაცემ საქმეს

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

# საერთაშორისო დაცვიდან გამორიცხვის მოდულები



# გამორიცხვის დებულებების გამოყენება პირებზე, რომლებიც საერთაშორისო დაცვას არ იმსახურებენ

ამ მოდულის მიზანია თავშესაფრის შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრებისთვის სათანადო ცოდნის და უნარების მიცემა, რომელიც საჭიროა ამ გამორიცხვის დებულებების გამოყენების შესაძლებლობის შესაფასებლად საერთაშორისო დაცვისთვის შესაფერისობის განსაზღვრის პროცედურების ფარგლებში.

ეს მოდული ფოკუსირებულია 1951 წლის ლტოლვილთა კონვენციის 1F მუხლის და კვალიფიკაციის დირექტივის 12(2) და 17-ე მუხლების გამოყენებაზე და აღწერს უახლეს მოვლენებს ამ სფეროში.

**სწავლის შედეგები**

1. შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს იდენტიფიცირება, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო დაცვისგან გამორიცხვისთვის
2. გამორიცხვის დებულებების ელემენტების განსაზღვრა, ლტოლვილებისა და დამატებითი დაცვის კონტექსტში
3. არსებითი ფაქტებისა და მტკიცებულებების დადგენა იმ სამართლებრივი დებულებების კონტექსტში, რომელიც ვრცელდება პოტენციური გამორიცხვის საქმეებზე

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**20 - 25-საათიანი ონლაინ სწავლება და 1,5-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, სლოვაკური, პოლონური, სლოვენიური, ესპანური და გერმანული**

ვერსია
**ვერსია 5 (2020)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

# დაცვის დასრულება

ამ მოდულის მიზანია თეორიული და პრაქტიკული ცოდნის წარმოდგენა, რომელიც საჭიროა დაცვის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მომზადების და დოკუმენტის შედგენისთვის.

ეს მოდული ფოკუსირებულია დაცვის დასრულებასთან დაკავშირებულ შესაბამის სამართლებრივ დებულებებსა და პროცედურულ გარანტიებზე. მასში ასევე განხილულია იმ პირობების ინტერპრეტაცია, რაც განაპირობებს დაცვის დასრულებას, როგორც გათვალისწინებულია კვალიფიკაციის დირექტივით.

**სწავლის შედეგები**

1. საერთაშორისო დაცვის მოხსნის საფუძვლების იდენტიფიკაცია
2. დაცვის დასრულებასთან დაკავშირებული შესაბამისი სამართლებრივი დებულებებისა და პროცედურების გამოყენება

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**20 - 30-საათიანი ონლაინ სწავლება და 1,5-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, ფრანგული, პოლონური, გერმანული, რუმინული და ესპანური**

ვერსია
**ვერსია 5 (2018)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

# გამორიცხვის პოტენციური შემთხვევების იდენტიფიცირება

ამ მოდულის მიზანია თავშესაფრის პროცედურებზე მომუშავე ოფიციალური წარმომადგენლებისთვის სხვადასხვა ქვეყნებიდან სხვადასხვა ტიპის შემთხვევების გაცნობა.

ამ მოდულში განხილულია გამორიცხვის პოტენციური შემთხვევების იდენტიფიცირება 1951 წლის ლტოლვილთა კონვენციის 1F მუხლის და კვალიფიკაციის დირექტივის 12(2) და 17-ე მუხლების კონტექსტში. ის ფოკუსირებულია კონკრეტულად იმ შემთხვევებზე, როდესაც პოტენციურად შეიძლება ჩაითვალოს, რომ პირი არ იმსახურებს საერთაშორისო დაცვას.

**სწავლის შედეგები**

1. იდენტიფიცირების როლის განმარტება გარიცხვის პროცესში და ასევე საერთაშორისო დაცვიდან გამორიცხვის დასაბუთება და მიზნები
2. გამორიცხვის გამომწვევი ქმედებების და პოტენციური აქტორების იდენტიფიცირება საერთაშორისო დაცვის პროცედურების კონტექსტში
3. შესაბამისი ინფორმაციის ამოცნობა, რომელიც შემდგომ გამოკვლევის მიზეზი ხდება გამორიცხვის დებულებების შესაბამისად

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრები, მიმღები ცენტრის ოფიცრები და დუბლინის შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრები**

**ESQF** დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**10-საათიანი ონლაინ სწავლება და 1-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, პოლონური, ბერძნული და გერმანული**

ვერსია
**ვერსია 1 (2021)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

# მოდულები მენეჯერებისთვის



# მენეჯმენტი თავშესაფრის კონტექსტში

ამ მოდულის მიზანია უზრუნველყოს მენეჯერების კომპეტენციების განვითარება, რომელთა მუშაობა უკავშირდება თავშესაფრის კონტექსტს, რაც დაეხმარება მათ, რომ უზრუნველყონ საკუთარი დეპარტამენტების მაღალი ხარისხის სტანდარტების შესაბამისად და ეფექტურობის სათანადო დონეზე მუშაობა, საერთაშორისო და ევროკავშირის სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.

ამ მოდულში მოცემულია საერთაშორისო დაცვის სფეროში მომუშავე მენეჯერების ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული ასპექტი.

**სწავლის შედეგები**

ლიდერობისა და მენეჯმენტის თეორიების, უნარებისა და ინსტრუმენტების გამოყენება თავშესაფრის მენეჯმენტის კონტექსტში

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

სამიზნე ჯგუფი
**მენეჯერები, დირექტორები და გუნდის ლიდერები თავშესაფრის კონტექსტში**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**20-საათიანი ონლაინ სწავლება და 2-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური**

ვერსია
**ვერსია 2 (2019)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

# მენეჯმენტი მიღების კონტექსტში

ამ მოდულის მიზანია უზრუნველყოს მენეჯერების კომპეტენციების განვითარება, რომელთა მუშაობა უკავშირდება მიღების კონტექსტს, რაც დაეხმარება მათ, რომ უზრუნველყონ საკუთარი დეპარტამენტების მაღალი ხარისხის სტანდარტების შესაბამისად და ეფექტურობის სათანადო დონეზე მუშაობა, საერთაშორისო და ევროკავშირის სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.

ამ მოდულში მოცემულია მიღების სფეროში მომუშავე მენეჯერების ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული ასპექტები.

**სწავლის შედეგები**

- ლიდერობისა და მართვის თეორიების, უნარებისა და ინსტრუმენტების გამოყენება მიღების კონტექსტში

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

სამიზნე ჯგუფი
**მიმღები დაწესებულებების და სააგენტოების მენეჯერები, დირექტორები და გუნდის ლიდერები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**20-საათიანი ონლაინ სწავლება და 2-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, ესპანური და ბერძნული**

ვერსია
**ვერსია 1 (2020)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

# მიღების მოდულები



# მიღება

ამ მოდულის მიზანია მიღების პროცედურის ფაზების აღწერა და შესაბამისად, მიმღები ცენტრის ოფიცრების მომზადება მიღების პროცესში სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის, მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობისთვის და მიღების პროცესში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან გამკლავებისთვის.

ეს მოდული მოიცავს მიმღები ცენტრის ოფიცრებისთვის საჭირო საბაზისო ტრეინინგს „მიღების პირობების შესახებ“ დირექტივის თანახმად. იმ საერთაშორისო ისტორიული მოვლენებისა და სამართლებრივი კონტექსტის მიმოხილვისას, რომელშიც შემუშავდა არსებული მიღების პირობები, მოდულში ყურადღება გამახვილებულია მიმღები ცენტრის ოფიცრის ფუნქციებსა და საჭირო უნარ-ჩვევებზე, როგორიცაა პროფესიული საზღვრების დადგენა, კულტურათაშორის გარემოში კომუნიკაცია, პროცესში ჩართულ პირებთან ურთიერთობა და კონფლიქტების მართვა.

**სწავლის შედეგები**

1. საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი პირების მიღების სამართლებრივი და ორგანიზაციული სტრუქტურის აღწერა
2. მიღების პროცესის სხვადასხვა ფაზის ელემენტების აღწერა
3. მიღების სპეციალური საჭიროების მქონე პირების იდენტიფიცირება და პერსონალიზებული ინტერვენციის შემუშავება
4. მიმღები ცენტრის ოფიცრების როლისა და პროფესიული უნარების განმარტება
5. პროცესში ჩართულ სხვადასხვა მხარეებთან თანამშრომლობის სფეროების განმარტება მათი როლებისა და პასუხისმგებლობების მიხედვით

სამიზნე ჯგუფი
**საერთაშორისო დაცვის მომთხოვნ პირებთან კავშირში მყოფი მიმღები ცენტრის ოფიცრები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**15 - 20-საათიანი ონლაინ სწავლება და 2-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, გერმანული, ბერძნული, სლოვაკური, ხორვატული, ფრანგული, იტალიური, ჰოლანდიური, რუსული, რუმინული, ესპანური, ლატვიური და ლიეტუვური**

ვერსია
**ვერსია 1,1 (2015)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

# მოწყვლადი პირების მიღება: მოწყვლადობის იდენტიფიცირება და პირველადი მხარდაჭერის უზრუნველყოფა (ბლოკი A)

ამ მოდულის მიზანია ობიექტური ანგარიშის შედგენის წესის აღწერა, სადაც განხილული იქნება მოწყვლადობის, მოწყვლადი პირების საცხოვრებლითა და შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფის, ასევე, მათთვის ინფორმაციის მიწოდების საკითხები.

ეს მოდული ფოკუსირებულია მოწყვლადობის კონცეფციაზე მიღების კონტექსტში. მასში განხილულია მოწყვლადი პირების კატეგორიები, მოწყვლადობის ინდიკატორები და დაცვის ფაქტორები. მოდული ასევე აღწერს მოწყვლადობის ზეგავლენას მიღების საჭიროებებზე, პირველ საფეხურებს მიღების სპეციალური საჭიროებების მქონე თავშესაფრის მომთხოვნი პირების მხარდაჭერისთვის, გადაუდებელ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, ასევე არაობიექტურობასა და მისი დაძლევის გზებს.

**სწავლის შედეგები**

1. მოწყვლადობის ინდიკატორების, მოწყვლადი პირების კატეგორიებისა და მიღების სპეციალურ საჭიროებებზე მოწყვლადობის შესაძლო გავლენის აღწერა
2. მიღების სპეციალური საჭიროებების მქონე თავშესაფრის მაძიებელთა იდენტიფიცირებისთვის შესაბამისი ტექნიკებისა და პროცედურების გამოყენება და მათთან მუშაობის მეთოდების მოძიება
3. მიღების სპეციალური საჭიროების მქონე განმცხადებლებისთვის დახმარების ინიცირება

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და

სამიზნე ჯგუფი
**მიღების სისტემაში საერთაშორისო დაცვის მაძიებლებთან კავშირის მქონე მიმღები ცენტრის ოფიცრები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**20 - 30-საათიანი ონლაინ სწავლება და 1-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, ბერძნული, ჩეხური, გერმანული, სლოვაკური, ესპანური, ლიეტუვური და ლატვიური**

ვერსია
**ვერსია 1 (2020)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

2023 წელს, ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

# მოწყვლადი პირების მიღება: საჭიროებების შეფასება და ინტერვენციების შემუშავება (ბლოკი B)

ამ მოდულის მიზანია მიმღები ცენტრის ოფიცრებისთვის მიღების საჭიროებებზე მოწყვლადობის გავლენის შესახებ ცოდნის მიცემა.

ეს მოდული ფოკუსირებულია თავშესაფრის მომთხოვნი პირის მოწყვლადობასთან დაკავშირებული საჭიროებების გათვალისწინებაზე მიღებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებების მიღების და შესაბამისი ღონისძიებების გატარების დროს. მასში ასევე აღწერილია, თუ როგორ უნდა შეფასდეს საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მიღების სპეციალური საჭიროებები და როგორ განისაზღვროს და გადაიხედოს მიღების პირადი გეგმები არსებული და ცვალებადი მოწყვლადობის კონტექსტში.

**სწავლის შედეგები**

1. კონკრეტული მოწყვლადობის მიღების საჭიროებებზე პოტენციური გავლენის აღწერა
2. განმცხადებლების მიღების სპეციალური საჭიროებების შეფასება საჭიროებების შეფასების სამი ძირითადი საფეხურის გამოყენებით
3. თავშესაფრის მაძიებელთა მიღების პირადი გეგმების შემუშავება და გადახედვა არსებული და ცვალებადი მოწყვლადობის კონტექსტში

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები

სამიზნე ჯგუფი
**მიღების სისტემაში საერთაშორისო დაცვის მაძიებლებთან კავშირის მქონე მიმღები ცენტრის ოფიცრები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**15-საათიანი ონლაინ სწავლება და 1,5-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, ესპანური, ჩეხური, გერმანული, სლოვაკური და ლიეტუვური**

ვერსია
**ვერსია 1 (2020)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

| | |
|---|---|
| ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.<br><br>2023 წელს, ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში. | |

# თარგმნა მიღების კონტექსტში

ამ მოდულის მიზანია მიღების კონტექსტში მომუშავე თარჯიმნებისთვის იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიცემა, რომელიც მათ დავალებების პროფესიულად და ეფექტიანად, საერთაშორისო სტანდარტების დაცვით შესრულებაში დაეხმარება.

ამ მოდულში მოცემულია მიღების კონტექსტის ზოგადი მიმოხილვა, რაც გულისხმობს მიღების პროცედურის სხვადასხვა ეტაპებისა და მიღებისთვის თარგმნის ძირითადი საჭიროების აღწერას. ის განიხილავს მრავალ ისეთ სხვადასხვა სიტუაციას, როდესაც მიღების საქმეზე თარჯიმნებს უწევთ ზეპირი თარგმნა სოციალური შეფასების, სამედიცინო კონსულტაციის, ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და ჯგუფური საინფორმაციო შეხვედრების დროს.

**სწავლის შედეგები**

1. ევროპაში თავშესაფრის მაძიებლების მიღების კონტექსტისა და მიზნების აღწერა
2. ზოგადად თარჯიმნის, კერძოდ კი, თავშესაფრის მაძიებელთა მიღების საქმეებზე მომუშავე თარჯიმნების ფუნქციის აღწერა
3. ზოგადად თარგმნის, კერძოდ კი მიღების კონტექსტში თარგმნის პრინციპებისა და აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოყენება

ეს მოდული წარმოდგენილია ონლაინ ვერსიის სახით და იყენებს დროში შეუზღუდავ სწავლის რეჟიმს.

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის კონტექსტში მომუშავე თარჯიმნები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**15-საათიანი ონლაინ სწავლება**

ენები
**ინგლისური**

ვერსია
**ვერსია 1 (2022)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

# რეგისტრაციის მოდული



# საერთაშორისო დაცვის მაძიებლების რეგისტრაცია

ამ მოდულის მიზანია მონაწილეებისთვის საერთაშორისო დაცვის მაძიებლების რეგისტრაციისთვის აუცილებელი ცოდნის და უნარების მიცემა.

ეს მოდული მოიცავს საერთაშორისო დაცვის საკითხთა მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ეძღვნება თავშესაფრის პროცედურასა და სარეგისტრაციო პროცედურის ეტაპებს. ის ასევე ფოკუსირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე თავშესაფრის მომთხოვნი პირისთვის გარანტიების უზრუნველყოფასა და მასთან კომუნიკაციის მეთოდებზე რეგისტრაციის პროცესში.

### სწავლის შედეგები

1. საერთაშორისო დაცვის, კერძოდ კი, რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხთა მარეგულირებელი ევროკავშირის სამართლებრივი ნორმების აღწერა

2. რეგისტრაციის პროცედურის სხვადასხვა ეტაპების შესრულება და სპეციალური საჭიროებების მქონე თავშესაფრის მაძიებელი პირებისთვის პროცედურული გარანტიების მინიჭება რეგისტრაციის პროცესში

3. რეგისტრაციის პროცესში კომუნიკაციის სათანადო მეთოდების გამოყენება

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის და მიმღები ცენტრის ოფიცრები, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო დაცვის მომთხოვნ პირებთან**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**15-საათიანი ონლაინ სწავლება და 1-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, ბერძნული, იტალიური, გერმანული, ალბანური და ბოსნიური**

ვერსია
**ვერსია 1 (2020)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

# განსახლების მოდული



# განსახლება

ამ მოდულის მიზანია თავშესაფრის შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრებისთვის, განსახლების ოფიცრებისთვის, ასევე განსახლების საკითხებზე მომუშავე სხვა ოფიცრებისთვის განსახლების არსის გაცნობა და იმის განმარტება, თუ როგორ შეიძლება მოხდეს განსახლების პროცესის სხვადასხვა ფაზების ორგანიზება და მართვა.

ეს მოდული განიხილავს განსახლების პროცედურის ძირითად ასპექტებს, კერძოდ კი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ განსახლების საჭიროებების განსაზღვრასა და მოცემული წევრი სახელმწიფოსთვის განსახლების საქმის წარდგენის საკითხებს. ის ასევე განიხილავს შერჩევის მისიის, დოსიეს არჩევის, გამგზავრების წინა საორიენტაციო ინსტრუქტაჟის, გადაგზავნის და განსახლებული ლტოლვილებისთვის ადგილზე ჩასვლის შემდგომი მომსახურებების მომზადებას და მართვას.

**სწავლის შედეგები**

1. განმარტება, თუ როგორ განხორციელდეს განსახლების პროცედურა წარმატებით
2. განსახლების პროცედურისთვის დამახასიათებელი გამოწვევების იდენტიფიცირება
3. განსახლებისთვის ეფექტური ღონისძიებების განსაზღვრა

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრები, განსახლების ოფიცრები და განსახლების საკითხებზე მომუშავე სხვა ოფიცრები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**20 - 30-საათიანი ონლაინ სწავლება და 2-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, გერმანული, ესპანური და რუმინული**

ვერსია
**ვერსია 1,1 (2019)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

# მოწყვლადობის მოდულები



# გენდერი, გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია

ამ მოდულის მიზანია გასაუბრების ჩასატარებლად საუკეთესო პრაქტიკული მეთოდების სწავლება, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერულ იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენას.

მოცემული მოდულში წარმოდგენილია გენდერთან, გენდერულ იდენტობასთან და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმები და განხილულია, თუ როგორ ვრცელდება აღნიშნული ნორმები შემთხვევაზე მომუშავე ოფიცრებსა და განმცხადებლებზე საერთაშირისო დაცვის საქმეების შეფასებისას. აქ ასევე განხილულია, გენდერულ იდენტობასთან და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები, ასევე, სამართლებრივი ბაზა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს პრაქტიკოს სპეციალისტებს მტკიცებულებები იმგვარად შეაფასონ, რომ სათანადოდ გათვალისწინებული იყოს გენდერთან, გენდერულ იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული მოთხოვნის სპეციფიკა.

**სწავლის შედეგები**

1. გენდერთან, გენდერულ იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული ფაქტორების იდენტიფიცირება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის დამუშავებისას
2. განმარტება, თუ რა გავლენას ახდენს გენდერთან, გენდერულ იდენტობასთან და სექსუალურ ორიენტაციასთან დამოკიდებულება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განხილვაზე
3. გენდერის, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის მიმართ შესაბამისი

სამიზნე ჯგუფი
**თავშესაფრის ოფიციალური წარმომადგენლები**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**20 - 25-საათიანი ონლაინ სწავლება და 2-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, პოლონური, სლოვაკური, ფინური, რუსული, ფრანგული, სლოვენიური, თურქული და გერმანული**

ვერსია
**ვერსია 1,1 (2015)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

მიდგომის გამოყენება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განხილვისას

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

2023 წელს, ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

# ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

ამ მოდულის მიზანია იმ ოფიცრების მომზადება, რომლებიც მუშაობენ ტრეფიკინგის მსხვერპლთან ან პოტენციურ მსხვერპლთან, ტრეფიკინგის ნიშნების გამოვლენისა და აღნიშნულზე რეაგირებისთვის, ასევე, თავშესაფრის საქმეზე ტრეფიკინგის მსხვერპლთან ან პოტენციურ მსხვერპლთან გასაუბრების მოსამზადებლად და ჩატარებისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიცემა.

ეს მოდული შედგება ორი დონისგან. პირველი დონე ეხება ტრეფიკინგის მსხვერპლის და პოტენციური მსხვერპლის ცნობიერების ამაღლებას და განიხილავს ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლის იდენტიფიცირებისთვის, ისევე როგორც მათთან პირველი შეხვედრის ჩასატარებლად აუცილებელი ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. მეორე დონე ფოკუსირებულია ტრეფიკინგის მსხვერპლზე, ვინც შეიძლება საერთაშორისო დაცვას საჭიროებდეს. მოდულში აღწერილია, თუ როგორ უნდა მომზადდეს და ჩატარდეს თავშესაფართან დაკავშირებული გასაუბრება ტრეფიკინგის მსხვერპლთან ან პოტენციურ მსხვერპლთან და რა მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული მსგავსი პირის მიერ დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას.

**სწავლის შედეგები**

1-ელი დონე:

1. ტრეფიკინგის ნიშნების აღმოჩენა
2. განმარტება, თუ როგორ უნდა მოგვარდეს პირველადი შეხვედრა ტრეფიკინგის მსხვერპლთან ან პოტენციურ მსხვერპლთან

მე-2 დონე:

1. იმის ცოდნა, თუ როგორ მოამზადოთ და ჩაატაროთ თავშესაფართან დაკავშირებული

სამიზნე ჯგუფი
**ოფიცრები, რომლებიც მუშაობენ ტრეფიკინგის მსხვერპლთან ან პოტენციურ მსხვერპლთან**

ESQF დონე
**არ შეესაბამება**

ხანგრძლივობა
**18 - 20-საათიანი ონლაინ სწავლება ორივე დონისთვის და 2-დღიანი პირისპირ ჩატარებული სესიები**

ენები
**ინგლისური, სლოვაკური, გერმანული, თურქული, იტალიური, არაბული, ესპანური და ლიეტუვური (მხოლოდ 1-ელი დონე)**

ვერსია
**ვერსია 1,1 (2017)**

ჩარიცხვის მოთხოვნები და წინაპირობები
**არ შეესაბამება**

გასაუბრება ტრეფიკინგის მსხვერპლთან ან პოტენციურ მსხვერპლთან

2. გაგება, როგორ უნდა მივუდგეთ დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესს ტრეფიკინგის მსხვერპლის ან პოტენციური მსხვერპლის მონაწილეობით

ამ მოდულის მიწოდება ხდება სწავლის შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით (ონლაინ და პირისპირ). ონლაინ სწავლება მოიცავს სასწავლო აქტივობებს, რომელთა საშუალებითაც ხდება სწავლის პროგრესის შეფასება სწავლის მიზნებთან შედარებით, ხოლო პირისპირ ჩატარებული სესიები ფოკუსირებულია კომპლექსურ ელემენტებზე, რაც საჭიროებს განხილვას.

ეს მოდული განახლდება თავშესაფართან დაკავშირებული ევროპული სასწავლო პროგრამის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში.

Publications Office of the European Union

EUROPEAN UNION AGENCY FOR ASYLUM